

## მასპინძელი ოჯახის შერჩევის კრიტერიუმები

მიმღები მასპინძელი ოჯახი უზრუნველყოფს მოხალისეს ცალკე ოთახით. ოთახში უნდა იყოს ელემენტარული ავეჯი: საწოლი, მაგიდა, სკამი, კარადა. კარი აუცილებლად უნდა იკეტებოდეს გასაღებით;

მოხალისეს უნდა ჰქონდეს ძირითადი კარის/ჭიშკრის გასაღები;

საპირფარეშო/ტუალეტი განლაგებული უნდა იყოს სახლში ან ახლოს სახლთან არაუმეტეს 25 მეტრის მანძილზე

მოხალისემ უნდა შეძლოს მიიღოს შხაპი/აბაზანა ან გაიცხელოს წყალი პირადი ჰიგიენისათვის სუფთად მოწობილ ადგილას;

მოხალისეს უნდა ჰქონდეს საშუალება გაირეცხოს ტანსაცმელი და გამოიყენოს სამზარეულო. სამზარეულოში აუცილებლად უნდა იყოს მაცივარი;

სახლი ზამთარში უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობის რაიმე საშუალებით: ელექტრო, გაზის, ნავთის ან შეშის ღუმელი; უნდა არსებობდეს სატელეფონო კავშირი სახლიდან ან მეზობლისაგან;

მოხალისის სახლი უნდა მდებარეობდეს სამსახურიდან არა უმეტეს 45 წუთის ფეხით სავალ მანძილზე. სახლში და სამეზობლოში უნდა იყოს უსაფრთხო გარემო;

სასურველია, რომ ოჯახის წევრთაგან ერთ-ერთს მაინც შეეძლოს ინგლისურად საუბარი;

მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი სამი თვიდან ორ წლამდე მიიღოს ამერიკელი მოხალისე როგორც ოჯახის წევრი, გააცნოს მას ადგილობრივი კულტურა და ადატ-წესები; დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენის შესწავლაში;

მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს უხდის ყოველთვიურად 285 ლარს, რის ფარგლებშიც მასპინძელი ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მოხალისე საცხოვრებელი პირობებით და ყოველდღიური კვებით; ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით მოხალისე დამატებით გადაიხდის მისი ოთახის გათბობის ხარჯებს 65 ლარის ოდენობით;

მოხალისის მასპინძელი ოჯახი არ შეიძლება იყოს არც ორგანიზაციის ხელმძღვანელი და არც მოხალისის მომავალი პარტნიორი თანამშრომელი




**ოჯახში ცხოვრება მოხალისეებს აძლევს საშუალებას დაუახლოვდნენ ოჯახის წევრებსა და თემს, გაეცნონ კულტურას, შეიტვისონ ქართული ენა და სრულად ჩაერთონ ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრებაში**

*რეგიონული კოორდინატორები:*  
ტელ: 599 929 097 (თორნიკე)  
591 505 062 (გვანცა)

მშვიდობის კორპუსი საქართველოში

მასპინძელი ოჯახის საინფორმაციო ბროშურა



ვაჟა-ფშაველას №29ა  
თბილისი 0160  
საქართველო

ტელ: 0 (32) 224 12 21/22/24  
ფაქსი: 0 (32) 224 12 20  
[www.peacecorps.gov](http://www.peacecorps.gov)





მშვიდობის კორპუსი 1961 წელს დააარსა პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმ. ორგანიზაცია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის არაპოლიტიკურ, არამომგებიან და არარელიგიურ სააგენტოს, რომელიც საშუალებას აძლევს ამერიკელ მოხალისეებს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობას. მშვიდობის კორპუსი აგზავნის კვალიფიცირებულ მოხალისეებს იმ ქვეყნებში, რომლებიც ამგვარ მხარდაჭერას ითხოვენ. მოხალისეებს შეაქვთ თავიანთი წვლილი ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაში.

მშვიდობის კორპუსი იღწვის მშვიდობისა და მეგობრობის გასაძლიერებლად სამი ძირითადი საშუალებით:

- ხელს უწყობს დაინტერესებული ქვეყნის განვითარებას შესაბამისი განათლების მქონე ხალხის ჩამოყვანით და მათი ჩაბმით ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში
- ხელს უწყობს ამერიკელი ხალხის მიერ სხვა ქვეყნის უკეთ გაცნობას
- ხელს უწყობს სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ამერიკის უკეთ გაცნობაში

მშვიდობის კორპუსის ორმოცდაათზე მეტი წლის არსებობის ისტორიის განმავლობაში 220 000-ზე მეტ ამერიკელს უმსახურია მსოფლიოს 140 ქვეყანაში. ამჟამად მშვიდობის კორპუსი 8000-მდე მოხალისეს ითვლის 64 ქვეყანაში. ისინი მუშაობენ განათლების, ჯანდაცვის, ეკოლოგიის, თემის ეკონომიკური და ახალგაზრდობის განვითარების და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

მშვიდობის კორპუსი საქართველოში ქვეყნის მთავრობის მოწვევით თავის მისიას 2001 წლიდან ახორციელებს.



მოხალისეები არიან სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პროფესიისა და გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის მრავალფეროვან კულტურას. ყოველ მათგანს აქვს საუნივერსიტეტო განათლება.

განსხვავებით სხვა უცხოური ორგანიზაციების თანამშრომლებისაგან, მოხალისეებს არ აქვთ პრივილეგიები. ისინი ცხოვრობენ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც მუშაობენ 2 წლის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ამერიკელ მოხალისეებს არა აქვთ უფლება მიიღონ გასამრჯელო თავიანთი მუშაობისათვის, ჩაებან პოლიტიკურ საქმიანობაში ან იქადაგონ რომელიმე რელიგია. ისინი სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრობენ როგორც საზოგადოების რიგითი წევრები. მოხალისეები არ უზრუნველყოფენ მასპინძელ საზოგადოებას ტექნიკით, დანადგარებით ან ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოში ჩამოსვლისას მოხალისეები გადიან 11 კვირიან ინტენსიურ წინასამსახურეობრივ მომზადებას/ტრენინგს, რომლის დროსაც ისინი სწავლობენ ქართულ ენას, კულტურას, ტრადიციებს, ეცნობიან საქართველოში მუშაობის თავისებურებებს და სხვა.

*მოხალისეებს ამობრავებთ გულითადი სურვილი დახმარება აღმოუჩინონ ხალხს. თუმცა ისინი ორწლიანი სამსახურის განმავლობაში არა მარტო თვითონ უზიარებენ თავიანთ ცოდნას მოსახლეობას, არამედ არანაკლებ ფასეულ გამოცდილებასა და ცოდნას იძენენ, რაც ეფუძნება პირად ურთიერთობებს, კულტურისა და ტრადიციების გაცვლას. ცხადია, ამ მხრივ მასპინძელი ოჯახების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*



**სად უნდა იცხოვროს მოხალისემ?**  
იმისათვის, რომ ამერიკელი მოხალისე ადვილად გახდეს ჩვენი საზოგადოების წევრი, გაითავისოს ენა, კულტურა და წეს-ჩვეულებები, იგი ცხოვრობს მასპინძელ ოჯახში არანაკლებ პირველი 3 თვისა. ოჯახში ცხოვრება უადვილებს მოხალისეს ადაპტაციის პროცესს და უზრუნველყოფს მოხალისის უსაფრთხოებას. ოჯახში იგი ეცნობა ქართული ცხოვრების წესს და ტრადიციებს, ადვილად ითვისებს ქართულ ენას.

ოჯახმა უნდა უზრუნველყოს მოხალისე ცალკე ოთახით და კვებით. მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს ყოველთვიურად უხდის მცირე სტიპენდიას, რათა დაეხმაროს მას პროდუქტის, ელექტროენერჯის, გაზის და სხვა გადასახადების დაფარვაში.

**რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მასპინძელი ოჯახი?**

მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი არანაკლებ სამი თვით მიიღოს ამერიკელი მოხალისე, როგორც ოჯახის წევრი. გააცნოს მას ქართული ტრადიციები, კულტურა და დაეხმაროს ენის შესწავლაში. (იხილეთ: შერჩევის კრიტერიუმები)

**რა მოვალეობები ეკისრება მასპინძელ ოჯახს?**

მასპინძელ ოჯახს უნდა სურდეს მოხალისის ოჯახის წევრად მიღება. ოჯახებს მოეთხოვებათ დაეხმარონ, ჩართონ მოხალისე ოჯახურ საქმიანობაში და გააცნონ იგი ადგილობრივ თემს. ოჯახებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ მოხალისე არის ზრდასრული და დამოუკიდებელი ადამიანი და პატივი უნდა სცენ მის დამოუკიდებლობას. მასპინძელი ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენისა და კულტურის შესწავლაში.